დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ N[redacted]) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,მეთამაშე"- სათვის (ს/კ [redacted]) გადაცემის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე" - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებთან და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო გასცემს თანხმობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, არაუმეტეს 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*